საქართველოში დევიდ ლინჩი ჩამოვა

14 სექ 2017 ახალი ამბები

Twitter Facebook linkedin Pinte

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის ცნობით, (http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/ganatlebis-mecnierebis-da-kulturis-komiteti/axali-ambebi-ganatleba/mariam-djashi-kavkasiashi-devid-linchis-fondis-dlfc-warmomadgenlebs-shexvda.page) 18-21 ნოემბერს საქართველოს ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი ეწვევა.

„ეს არის საქართველოსთვის უდიდესი შესაძლებლობა, რომ ვუმასპინძლოთ მსოფლიოში ცნობილ რეჟისორს და ვისაუბროთ მის ფონდთან სამომავლო თანამშრომლობის ინიციატივებზე. მნიშვნელოვანია, რომ ფონდის პროგრამების ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში საინტერესო საგანმანათლებლო და სოციალური პროექტის განხორციელება. დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის ოფისის

დაფუძნება თბილისში, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ ქართველი რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძე, საქართველოს როგორც კინოინდუსტრიის განვითარების ასევე, საგანმანათლებლო სფეროში ახალი პროექტების განხორციელების ისტორიულ შესაძლებლობებს აძლევს. მოხარული ვარ, რომ მე და ჩემს კოლეგებს მოგვეცემა საშუალება შევხვდეთ და ვუმასპინძლოთ ლეგენდარულ კინორეჟისორს და მასთან ერთად განვიხილოთ საქართველოს განათლების, კულტურისა და სოციალური მიმართულებებით უაღრესად მნიშვნელოვანი სამომავლო ინიციატივები“, – **განაცხადა შეხვედრის შემდეგ მარიამ ჯაშმა**

მარიამ ჯაშის განცხადებით, დევიდ ლინჩის ფონდის მიერ გაჟღერებული ყველა ინიციატივა თანხვედრაშია საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ გაცხადებულ პრიორიტეტებთან. აღნიშნული მოიცავს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციას, რომ ქვეყანა საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბდეს, მით უფრო ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებაში, როგორიც არის კინემატოგრაფია

David Lynch will arrive in Georgia

According to the Educational and Cultural Committee of the Parliament of Georgia, the country will host famous American film director, David Lynch on November 18-21.

"This is a great opportunity for Georgia, that we can host a worldwide film director and speak with him about his future Foundation related initiatives of cooperation. It's very important that the implementation of interesting educational and social projects is being planned in terms of the Foudation programs in Georgia, Armenia and Azerbaijan. Establisment of the David Lynch Foundation Caucasus office in Tbilisi, the leader of which is the Georgian film director and musician Giga Agladze, gives the historical possibilitiy to implement new projects for the development of film industry as well as educational sphere. I'm glad that me and my colligues will have the opportunity to meet and host the legendary film director and discuss with him immensely important future inicatives in Georgian Educational, Cultural and Social spheres." – Announced Mariam Jashi after the meeting.

According to Mariam Jashi all the initiatives stated by David Lynch Foundation are in line with the priorities declared by the Parliament and Government of Georgia. The above mentioned includes the internationalization of the higher educational system of Georgia so that the country develops into the international educational center especially into such a priority direction as cinema.